

ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთობზე გიშაონები.  
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

# ქვემი დრეპა

832  
1961

NOTRE DRAPEAU"

აგვისტო 6 იავ შორდანის 8006.

N° 35

Directeur: MICHEL STOUROUA.

ვ ი ხ ა ს 6 0:

რ. არსენიძე—შავბერ 40 წლის თავზე.  
საბჭ. რუსეთის თავდასხმა საქართ. რესპუბლიკაზე.  
პ. ს.—დღე გლოვისა და ბრძოლის!  
მ. ბერიშვილი—25 თებერვლის ნამდვილი სახე.  
ფ. მარაძე—ჩემი დღიურიდან.  
ი. იმერიძე—კომუნისტური პრესა ტყუის!  
ბრძოლა.  
ია—თბ. მუშათა ბათალიონის რაზმელის დღიურიდან.  
დაპყრობის პირველ დღებში.  
უცხოეთში და სხვ.

ბარიში.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

Paris.

1961

ଶାତରେଣ୍ଡମ 40 ଫ୍ଲେଟ୍ ଟାଙ୍କ୍ଷେ.

ჩვენი ეურნალი შავი არშიით არის შემოვლებული. ეს ნიშანია იმის, რომ 40 წლის თავი საქართველოს დაპყრობისა — გლოვის თარიღია ქართველი ხალხისთვის... ჩვენი თვალებიდან ცრემლები ცვიგა. მაგრამ ეს არ არის ცრემლი მოთქმის, ან გამოტირების. საქართველო დასატირებელი არ არის. ჩვენ ეს ლრმათ გვწამს. ჩვენი ცრემლები ეკუთვნის იმათ, ვინც საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას შესწირა თავი; ჩვენი ცრემლები გვინდა აიაზმათ დაეპუროს დღეს მათ წმინდა საფლავებს. მაგრამ ჩვენ მათ ბეჭდს კი არ დაესტიროთ, არამედ საამაყოთ ვიხსნებთ მთელი ქვეყნის წინაშე; მათ საუკუნო სახელი მოიპოვეს ქართველი ერის ისტორიაში. ჩვენ ცრემლები გვდის თვალთაგან, მაგრამ გულში ცეცხლის აღმური გვეკიდება, და ეს ცრემლი, მასულარე დეცული, იმ თავდადებულ გმირთა მაგალითის წაბაძვას გვიკარნახებს. ჩვენ თამად ვაცხადებთ, რომ იარალი არ დაგვიყრია, ბრძოლა არ შეგვიწყვეტია. იგი გრძელდება და არ შეწყდება, სანამ ქართველი ხალხი არ მოიპოვებს თავისუფლებას, სანამ არ გახდება სრული გამგე და პატრონი თავის ბეჭდისა და მომავლის.

ხშირათ ყოფილა საქართველო დაპყრობილი, მაგრამ არა-  
სოდეს დამორჩილებული, დამონებული! ამ იმედით, ამ რწმე-  
ნით ვხვდებით ჩვენი ქვეყნის საბჭოთა ჯარებისგან დაპყრო-  
ბის 40 წლის თავს.

ჩევნ არ გვიკერძს, რომ კომუნისტი-ჯალათები ჩევნი ერისა ამ წელს თავის იუბილეთ აცხადებენ. ეს წელი მათი დღესასწაულია. მათი ქართველ ხალხშე 40 წლის ფართაშის დღეობაა.

კომუნისტებს შეუძლიათ იამაყონ ამ ძველი ისტორიული ერის თავისუფლების დათორგვით. შეუძლიათ იმხიარულონ, რომ 40 წელი სჯიჯგნეს დიდი კულტურული ქვეყანა, როგორც სჯიჯგნიან ხოლმე პირველ ყოფილ ტომებს გაუმდებარი იმპერიალისტები. მაგრამ მათ გაქვავებულ გულშიაც უნდა დაიბაროს შიში და ძრწოლა იმ უსაშინელესი ბარბაროსობის წინაშე, რომელიც მათ ჩაიდინეს, და რომლის მსგავსი არც ერთ ეკრანპირელ იმპერიალისტურ სახელმწიფოსა არ ჩაუდენია ოდნავ მაინც ცივილიზაციულ ერის მიმართ. კომუნიზმი

ეს ახალი, დესპოტიური იმპერიალიზმი, თავშეუკავებელია, უსახლვროთ თავხედია, უმსგავსოთ მუხანათურია: გაგრძელებაა რუსულ იმპერიალიზმისა ახალი სახით, კომუნისტური მისტიკიზმით და მსოფლიო ბატონობის წყურვილით შეხავებული, მაგრამ ამით იგი კიდევ უფრო მრისხანეა და შეუბრალებელი.

აბა კითხეთ ქართველ კომუნისტებს, ან მათ მოსკოველ ბატონებს, რომელთა მშეს იგინი ფიცულობენ, რა პირით შეუძლიათ მათ ორმოცი წლის მონობა ქართველ ერს ორმოცი წლის თავისუფლებათ, თუ განთავისუფლებათ მოახვიონ თავზე და სადლესასწაულოთ გამოსკლისთვის მოუწოდონ... არც ერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოს დოემდე ასეთი უტიფრობა და ვერაგობა არ გამოუჩენია. არც მოუფიქრებია. მხოლოდ მოსკოველ კომუნიზმს, რომელიც აზიურ სიველურეში დაიბადა და აღიზარდა, შეეძლო ასეთი უმსგავსო თავხედობა გამოეჩინა.

დაიპყრეს საქართველოს თავისუფალი, დემოკრატიული რესპუბლიკა, თვით ლენინის მიერ ცნობილი, როგორც კანონიერად, სამართლიანად გამოყოფილი საბჭოთა რუსეთიდან, თვითგამორკვევების პრინციპის მიხედვით; დაიპყრეს იმავე ლენინის ლოცვა-კურთხევით, საბჭოთა წითელი ჯარების შემოსევით; დაადვეს რკინის ულელი თავის ტოტალიტარულ დიქტატორული რეჟიმის, დაუმორჩილეს იგი მოსკოვის იმპერიალისტ კომუნისტებს; ორმოცი წელი სჯიჯგნიან მის სხეულს, აწამებენ მის ერთგულ შვილთ, და ახლა ორმოცი წლის თავზე ამ ერისგან მოითხოვენ—ეს დამონების და ტანჯვის მოგონება—სადლესასწაულო, სალხინო და სადაბაზო დლეობათ გაიხადო! ფიზიკურ ტანჯვის შეურაცხოფას—ახლა ეს სულიერი ტანჯვაც მოუმატეს; ერის სულის გატეხა, შებლალვა, წარყვნა მოისურებს! ქართველმა საზოგადოებამ: მწერლობამ, მეცნიერებმა, მუშებმა, გლეხებმა უნდა ალტაცება გამოსთვან იმის გამო, რომ ორმოცი წელი კომუნისტების სასტიკ ულელ ქვეშ გმინვით გაატარეს, იცინონ, როცა გულში ბოლმა ტრიალებს, იმზიარულონ, როცა ნალველი უსივრებათ დარღით და მწუხარებით. იცკვონ, როცა თავდადებულ გმირთა საფლავების რიგები უდგიათ თვალწინ. რომელი ოჯახი არ არის დაობლებული და შევით შემოსილი კომუნისტური დიქტატორული რეჟიმის მსხვერპლათ შეწირული თავის მახლობელის გამო?

რამდენათ მხეცი, უგულო, უადამიანო უნდა იყო, რომ ძაბით მოსილ ერს ასეთი მოთხოვნა წაუყენო! დედამიწაზე არ გვეგულება ისეთი ბოროტი არსება, რომელსაც ამის ჩა-

დენა შეეძლოს, გარდა კომუნისტებისა, კომუნისტებს კი არა  
თუ არ რცხვენიათ, არამედ ამაყობენ კიდეც ამ თავის უსაში-  
ნელების სიბოროტით. თავის გამართლებასაც კი ცდილობდება?  
ჩეკინ გავანთავისუფლეთ ქართველი ხალხი მეტეციური მთა-  
ვრობის ბატონობისაგან, გაიძახიან ისინი. მაგრამ ეს „მენ-  
შეეციური“ ან უკეთ საქართველოს კანონიერი მთავრობა ხომ  
ხალხის მიერ იყო თავის ნებით, თავისუფლად არჩეული! იგი  
ხომ ამ ხალხის სურვილს და ნებისყოფას გამოხატავდა და  
ემორჩილებოდა. თუ ის ვერ გაამართლებდა ხალხის იმედებს,  
ხალხს ყოველთვის შეეძლო მისი გამოცვლა. ამისთვის განა-  
საჭირო იყო მოსკოვის ჯარების შემოსვა, ქვეყნის დარბევა  
და მისი საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტებისთვის დამორ-  
ჩილება? ბურეუაზიული წყობილებიდან გავათავისუფლეთო  
და კომუნიზმის ბედნიერებაში შევიყვანეთ ქართველი ხალ-  
ხიო. მოიტანეს კი შიმშილი და მწუხარება, თავისუფალი აზ-  
რის და სიტყვის ალკეთა, მონობა ფიზიკური და სულიერი,  
ერის და ადამიანის ელემენტარულ უფლებათა ურცხათ  
გათელია: რა ცინიკური უტიფრობაა—ასეთი ავლადიდებით  
ერის წინაშე წარდგომა და ღლესასწაულობის მოთხოვნა!

რა პირით მოითხოვენ ქართველი ხალხისაგან ამ შავბეჭელი თარიღის, 40 წლის ცარცვა და ყვლეფა ხალხესასწაულთარიღით მიიჩნიოს? ეს ხომ ყველაფერზე უსაშინელესი შეურაცხყოფაა—მთელი ერის, შელახვა მისი სულის, მისი ის-

ტორიული შეგრძნობის, მისი თავმოყვარეობის, მისი ეროვნული ლიტერატურის, ეს დაცინება—მისი ტკიცილების, მისი გულის წუხილის, სასაცილოთ აგდება მის—წმინდათაწმინდის, მისი სულიერი თავისუფლების, ყველაფრის პატივება შეიძლება ცხოვრებაში, მაგრამ სულის შეურაცხყოფას ქართველი ხალხი ვერასოდეს აპატივებს; ყველაფრის დავიწყება შეიძლება მაგრამ სულის ჭრილობის დავიწყება შეუძლებელია; იგი მუდმივათ დარჩება, და მუდმივათ მოუწოდებს ქართველ ხალხს—მთელი თავისი შესაძლებლობით ებრძოლოს ამ სულის ტირანებს!

მრავალი ჭირი გადაუტანია ქართველ ერს, ამ უსაშინელეს ჭირსაც მოინელებს. კომუნისტური ბოროტება აღმოიფხვრება თავის დიქტატორული რეჟიმით და ანტიხალწურანტიადამინური პოლიტიკით. იგი წარმავალია, ქართველი ერი კი დარჩება ისევ ცოცხალი, თავის საკუთარი ჰუმანიური კულტურით, თავის ეროვნული მეობით, თავისუფლების სიყვარულით და პროგრესიული იდეებით! იგი ისევ შევაამყათ, თავაწეული თავისუფალ ერთა თავისუფალ ოჯახში.

საქართველო იყო დამოუკიდებელი და კვლავ იქნება დამოუკიდებელი!

### საგვირო აუზების თავდასხმა

#### საჩართველოს აუსკუბლიკაზე.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავმჯდომარის ნოე ქორდანის მიერ 1921 წლს 21 თებერ დამტუდნებელ კრების სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვიდან\*).

«მთავრობის თავმჯდომარეს ტრიბუნაზე ასვლისას კრება ესალმება ხანგრძლივი ოვაციებით და ტაშით.

მთავრობის თავმჯდომარე: მოქალაქენო! ეხლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიწეზი და აგრეთვე ის მიმართულება, რომელსაც ომი ახლო მომავალში მიიღებს.

ირკვევა, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განწრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებია; მაგრამ მათ აქამდე ვერ შესძლეს ამის განხორციელება, რადგან არ ჰქონდათ საქმარისი საბაზი. ხოლო ამ ათი დღის წინ იპოვეს ეს საბაზი ლორის რაიონში.

\* ) მოგვყავს 1921 წლის 24 თებერვლის «ბორბა»-დან.

იქ მათ მოაწყვეს საიდუმლო შეთქმულება და დაარქვეს მას ხალხის გამოსცვლა საქართველოს წინააღმდეგ. იქ მათ გა-მოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და. აი, ვითომ მის დასახმარებლათ მოდის რუსის ჯარი. სწორეთ ამ თვის 15-ს გაიცა ბრძანება აზერბაიჯანში და სომხეთში მყოფ ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩაგვივარდა ჩვენ ხელში ტყვე ების საშვალებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია, თბილისის ალება და საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა. იქ ჩამოთვლილია თუ რომელ ჯარის ნაწილმა რა უნდა გააქეთოს, როდის უნდა იქნას აღებული ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი. ბოლოს ნათქვამია, რომ 19 თე-ბერვალს უნდა იქნას აღებული თბილისი.

ამ ჯარის პირველი შემოტევა, როგორც იცით, იყო უკარი, მოულოდნელი, საესტებით მუხანათური. და, აი, ამ უკარმა და მოულოდნელმა შემოტევამ შეარყია ჩვენი ჯარის მდგომარეობა იქ, საცა ეს ჯარი იდგა. და შეარყია იმ ზომამდე, რომ იყო მომენტი, როცა ბორჩალოს მაზრაში საზღვარზე მდგარმა ჯარებმა სრულიად ვერ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროთ უნდა ითქვას, რომ ჯარმა და აგრეთვე ჩვენმა ხალხმა სწრაფათ შეიგნეს მდგომარეობა, გამოსწორდენ და დორშე შეუდგენ საორგანიზაციო სამხედრო მუშაობას. ეს სწრაფი აღდგენა მდგომარეობისა. წინათ დასუსტებულ ჯარების ეს ახალი შეჯგუფება, ეს სწრაფი თავის მოყრა ჯარების და მათი სწრაფი შეკავშირება—არის იმის მიზნი, რომ ჩვენ დღეს აქ (თბილისში) ვიმყოფებით. ეს ჩვენ ლორიდან დავიწყეთ. როცა შევამჩნიოთ, რომ ერთი მხრით, ამ მუხანათურ თავდასხმამ შეარყია ჩვენი ჯარი, ხოლო, მეორე მხრით, მოსალოდნელი იყო აზერბაიჯანიდანაც დაგვესხმოდენ თავს, ჩვენი მიზანი შეიქნა გამოგვევანა ეს დასუსტებული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან და უკეთესი პ.ჩ.ი.ციები დაგვეკავებია. უკან დახვა ალაგალაგ სწარმოებრა წესიერათ, ალაგალაგ არ ხდებოდა წესრიგით, როგორც ეს უკანდამხევ ჯრის შეეფერება. საერთოდ კი იქ მდგრმ ჯარის დიდმა ხაწილმა დაიხია წესიერათ, ან გამოვიდა ნაწილ-ნაწილათ.

გამოსულები დალილი იყენ, მაგრამ არა საბოლოოთ გატეხილი; მათ მხოლოდ 1—2 დღის დასვენება ესაკიროებოდათ, რომ ისეთივე ჯარისკაცები გამხდარიყვენ, როგორც ახალგამოყვანილი მეორები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვნახეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ისაა, რომ. მიუხედავათ უკარი თავდასხმისა, მიუხედავათ მოულოდნელ გამოსელისა, დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია.

ამ გვარათ, ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით გამოვეყვანა მტრის წინააღმდეგ კარგათ გაწროვნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნობით გამსჭვალული ჯარი.

პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ მტრს მივეცით, ეს იყო 19 თებერვალს ლამით. ბრძოლა ხდებოდა დიდ ფრონტ-

ზე, დაახლოებით 100 ვერსტის მანძილზე. 18 და 19 თებერვალს ადგილი ჰქონდა მტრის შემოტევას მთელი ამ ფრონტის სი-  
კრცეზე და ოქვევნ გახსოვთ ეს დიდი ბრძოლა.

19-ს დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით მტრის ცენტრის გარღვევა და ის სავსებით დამარცხდა. შემდეგ, 19 თებერვალს დილით მოხდა ზრდოლა ჩვენს მარცხენა ფლანგზე.

იქ, ყარაიაზის მიდამოებში, მტერმა ნაშეტანი წამოიწია წინ, მოვიდა მარტყოფში, ლილში და აქ, 19 თებერვალს, მოხდა ჩვენი მასთან შეტყება; ჩვენ ვაძლევთ ის უკან დახსია, გავტეკეთ ყარაიაზში.

მხოლოდ დღეს, 21-ს, დაწინ ლამით მოხდა დიდი ბრძოლა მარჯვენა ფლანგზე. აქ ბრძოლა თითქმის ისეთივე მწვავე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს დიდის გააფთრებით, მტკიცეთ და დისციპლინასაც იჩენს. გასულ ლამით კოჯორის მიდამოებში მღვარ ჩენეს ჯარებს თავს დაესხნ და მოინდომეს გაერლვით ერთი ადგილი, რომელიც არ იყო საკმარისათ დაცული. აქ მათ დახვდონ იუნკრები და თქვენ იცით, რომ გაიმართა დიდი ბრძოლა, —ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გრანატებით და ხიშტებით, მაგრამ აქაც მათ სასტიკი დამარტებდა განიცადეს. (მხურვალე ტაში). მტრის ჯარს რამდენიმე ისეთი მაღლობები ეცირა, რომ ზედ ზარბაზნები დაედგათ, შეიძლებოდა მთელი თბილისის განადგურება. გუშინ მივიღეთ ჩენეს ზომები ამ მაღლობების წასართმევათ. ეს იყო ჩენი გამარჯვების პირველი ნაბიჯი და უნდა ითქვას, რომ ასეთი მიუღომელი ადგილები, ასეთი მაღლობები, სადაც მტერი იყო გამარტებული, ჩენი გვარდიის ნაწილებმა იერიშით აიღეს ისე, რომ ერთი კაციც არ დაუკარგავთ (ხმები: «გაუმარჯლს» და მხურვალე ტაში).

ამ ობში გამოირკვა, რომ საბუოთა ჯარი ვერ უდღებს შეტყვას; თვით ის მნიშვნელოვანი მაგრამ მის წინააღმდეგ წარმოებულ შეტყვას ის ვერ უმკლავდება,—წინააღმდეგ შემთხვევაში, მას რომ შეტყვის მოგერიების უნარი ჰქონდეს, ასეთ სიმაღლეებს ის არ დასტურებდა.

უნდა ითქვას, რომ ჩევნი ჯარი და გვარდია სამაგალითო მხეობას იჩენენ (აქ დამტუქნებელი კრება ფეხზე ადგომით, ტაშით და «ვაშა» და «გაუმარჯვას» ძახილით მიესალმება ჯარსა და გვარდიას). მე მგონია, რომ ჩევნს ხალჩში გაიღება, აჩქეფდა ჩევნი წინაპრების სისხლი, —იმ წინაპრების, რომელიც ჰემოჭრილ მტრის ურდოებს პატარა რაზმებით ამარცხებდენ.

ებლა მინდა მოგახსენოთ, თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძღვრობს ამ საბჭოთა ჯარებს საქართველოს წინააღმდეგ. იყით ალბათ, რომ აქ გამოგზავნეს და დაარიგეს ფურცლები, სადაც სწერია, რომ შულავერში შედგა «საქართველოს მთავრობა» და ეს შულავერში შეყვენებული

ლი «საქართველოს მთავრობა» ყოფილა თურმე ჩვენი ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ხალხს, დამფუძნებელ კრებას გადააყენონ თავიანთი ხელისუფლება, გადააგდონ იგი და იცნონ შულავერის «მთავრობა». ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფების უცხო ქვეყნის ხიზუების საშუალებით დაწესოს თავისი ხელისუფლება, თავისი მართველობა. ესენი არიან—მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბულუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი, ომარი, გეგეპკორი ალექსანდრე და კვირკველია. და, აი, ბატონებო, ამ ქართველთ, ამ ჩვენ ქვეშევრომთა სურვილს, რომელიც მტერს მოუძღვიან და ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და ჯარი და გახდენ საქართველოს ტირანები—მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი და ასოციაცია, არ მიიღებს. ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარი გზით თავის თავშე არ აიღებს. იმისთვის სომ არ უშრომია, იმისთვის სომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ შულავერის «მთავრობა» მიეღო. მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს, რა ვაჟაპეტონები აპირებდენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება და ის იტყვის: «ან სიკვდილი, ან გამარჯვება». (ტაში, მუშაველე ოვაციები. წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის ბელადს ნოე კორდანიას!»).

### დღი გლოვისა და ბრძოლის!

ორმოცი წელი შესრულდა მას შემდეგ რაც რუსეთი თავის წითელი ლაშქრით ომის გამოუცხადებლათ თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. მან დაარღვია დადებული ხელშეკრულება და ლარწულად უარპყო მის მიერვე ცნობილი ქართველი ერის უფლება. საქართველო განმარტივდებული სახელმწიფობრივ მშენებლობაში გართული, წინ აღუდგა შემოსეულ მტერს და მედგარი გამქლავების შემდეგ უსწორო ბრძოლაში დაეცა. ორმოცი წლის მანძილზე ქართველ ხალხმა არა ერთჯერ გაიღო ფიზიკური მსხვერპლი, თავისუფლება დაებრუნებია. მოსკოვმა იგი ჩაჰქლა და სისხლში ჩაახჩო.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ საქართველოს და რუსეთის წარსული, მათი სოციალურ-პოლიტიკური წყობა ძირიანად განსხვავდებოდა ერთი-მეორისგან...

რუსეთის სოციალური წყობა განვითარდა აზიის სახით— საქართველოს კი ევროპიულის... ბოლშევიკურმა რუსეთმა განაახლა იგანე მრისხანეს რუსეთი, სხვადასხვა სახელწოდებით იგი ახალ-განახლებულ რუსეთად გამოცხადდა; გაეხვია ძველ სოციალურ-ეკონომიკურ დესპოტიის სამოსელში და



მის შემდეგ თავის იმპერიალისტური პოლიტიკით სურს თავს ერთხელ მოახვიოს იგი მთელ კაცობრიობას. საქართველო, რომელიც იძრდოდა საუკუნის მანძილზე ეროვნულ თავისუფლებისთვის, გაპყვა თავის ისტორიულ გზას, ააფრიალა საკუთარი ნაციონალური დროშა, უარპყო ქართველი ხალხისთვის წარსულში უჩვეულო მისთვის უცხო, ლენინის მიერ განახლებულ სოციალ-ეკონომიური წყობა. უარპყო ყოველნაირი ძალმომზრე ობა, ტირანია, როგორც ერთი მუჭა უზურპატორების, ისე პარტიების და მასსების. თავისუფლება ყველა სფეროში განუყრელად ერთიმეორეს გადაება და ეს ჩამოყალიბდა შესაფერ დოკუმენტში საქართველოს—კონსტიტუციაში... ერთი ყველა სასიცოცხლო ძალები ჩაება აღმშენებლობითი მუშაობაში და ეს მაშინ, როცა თვით რუსეთში საშინელი ანარქია ანადგურებდა ყველაფერს და საერთო წესრიგის დაცვა შეუძლებელი იყო... მომაგრდენ თუ არა ხელისუფლებაში ბოლშევიკები, შეუდგენ დიდი რუსეთის აღდგენას...

მათ ვერ მოითმინეს, ვერ აიტანეს, ვერ მოინელეს მის ვერდით დემოკრატიულ გზაზე შემდგარი ერი, ამავე დროს მოსკოვს სჭირდებოდა საქართველო მეცეთა აღმოსავლეთ პოლიტიკის გასაგრძელებლათ, შორეულ სამხრეთში სამოქმედო ბაზების შესაქმნელათ... რუსეთის უხეშ ძალამ გადასჭრა ქართველი ერის საგალი გზა, მისი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება, დაუმორჩილა ცენტრს—მოსკოვს. გაიხადა იგი კოლონიალურ ქვეყნად და შეუდგა მისი ეროვნული სხეულის დაშლა-განადგურებას. ლენინის ანდერძი—მისი იდეოლოგიური მითითება ერთა ათქვეფისა, ერთ მთლიან საიმპერიო ერად გადაქცევისა მიმდინარეობს მზაკვრული ხერხით და ფარავს ზოგიერთ კულტურულ ძალების ცდებს სულიერ კულტურის გადასარჩენათ...

ქვეყნის ეკონომიკა დაკავშირებულია ცენტრთან საიდანაც მოდის გეგმები ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა საქეს-პლატაციოთ. ინდუსტრიალიზაცია ხდება არა ადგილობრივ მცხოვრებთა ნივთიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, არამედ საიმპერიო მოთხოვნილებისთვის უჩარმაზარ ბიუროკრატიისა და ჯარების შესანახათ...

საქართველომ დაპყარება უდიდესი განძი—თავისუდლება და მიიღო უძინესი ულელი მოსკოვის...

საქართველოს მესაფლავენი წელს იღონესასწაულ ებები. თავის გაბატონების ორმოცი წლის თავს, დედა-ქალაქის ქუჩებში ჩაივლის რუსის ჯარების აღლუმი და მას მიიღებს ადგილობრივად მოსკოვისგან დაქირავებული პირები. ხელო ქართველობა, მშრომელი მასსა, ხალხი, გაიხსენებს, გულის სიღრმეში აღინთებს თებერვლის სუსსიან დღეებს. როცა ქართული სისხლით განბანილი ნაციონალური დროშა—სასახლითან ჩამოიხსნა, თითეული ქართველის გულში ჩაიმარხა... დროთა ვითარება სცენის ბრძოლის ფორმას, არა ნაკლებია

მასში სურვილი, ნებისყოფა და მისწრაფება მოტაცებულ თავისუფების, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგნისა..

ქართველი ერთ განაგრძობს ბრძოლას — იგი არასდროს შერიცხებია უცხო ძალის ბატონობას, ვერც ეხლა შეურიცხება, — იგი ხომ დღეს აღარ არის მარტოლ-მარტო, მის ბეჭში იმყოფებიან ორი ათეული ერები, რომლებიც იბრძვიან და-კარგულ თავისუფლების აღსადგენათ..

დღევანდველ ატომიურ ეპოქაში, საერთაშორისო დაბულ მდგომარეობაში, მას მართებს ერთის მხრივ, სიფხიზლე და სიმტკიცე, — ურყევად იდგეს თავის ნაციონალურ დროშის ნიადაგზე, მეორეს მხრივ, სიფრთხილე და თავშეეკავება თავის ფიზიკურ არსებობის საფრთხეში ჩაგდების ასაცდენათ, იგი ამას შესძლებს, მისი წარსული ბრძოლებიდან მიღებული გამოცდილება და სიბრძნე ამის საუკეთესო თავდებია. იგი შესძლებს უმტკიცენლოთ გთიყვანოს თავის ნავი გამარჯვების ნაპირზე.

დაპყრობის 40 წლის თავზე — ჩვენ მოწიწებით და პატი ვისცემით ვიგონებთ ათასობით ბრძოლაში, ციხე-ციმბირში დალუპულ მამულიშვილთ და მათ ხსოვნის წინაშე ქედს ვიხსრით. მათი თავდებირვა, მათი მოგონება ქართველის გულში აღანთებს ბრძოლის ცეცხლს, შეურიცხებლობის გამკლავების სურვილს — გაათეკეცებს. შავ-ძაძებში გახვეულ ქართველ დედათა დანთხეული ცრემლები — კოჯორ-ტაბახმელას გმირთა კუბონებშე დანთხეულთ დედა-ქალაქი სამარისებულ სიჩუმეში ჩაცურებული — ქართველთა გონებაში ჩაჭედილი თებერვლის დღეები, 1924 წლის მთელი ერის იარაღში გამოსვლა, სვანეთ-ხევსურეთში ამოვარდნილი ცეცხლი ბრძოლისა, 37-38 წლის ათასობით მსხვერპლი, 1956 წლის ახალგაზდათა გმირული შებრძოლება, ჩვენი დაპყრობის დღეს — მოგვიწოდებს არა გლოვის — არამედ ბრძოლისკენ...

პ. ს.

## 25 თებერვლის ნამდვილი სახე.

ორმოცი წელი, მტრული თავდასხმისა და მუხანათურ-ვერაგული დაპყრობითი მოქმედებისა, საიდანაც იწყება საქართველოს დიდი ისტორიული განსაცდელი და რუს ბოლ-შევიქ იმპერიალისტების ნამდვილი სახის და ბუნების გამოაშკარავება.

1921 წლის თებერვალში, ნიღაბ ახდილი ბოლშევეკური რეჟიმის წითელი ჯარები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოიჭრა, როგორც ონავარი მტაცებელი, ყოველგვარი ადამიანური მორალური თვისების მომსპობი და ისტორიაში ჯერ არ ნახული საღიზმის მამა-მთავარი, რომელმაც თავისუფლების მოყვარე — თავისუფალ

დემოკრატიულ რესპუბლიკას მონობის მძიმე ულელი და-  
ადგა.

უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკა დაეცა.

კოჯორში დახთხეულმა უდანაშაულო პატრიოტულმა  
სისხლის ნიაღვარმა მსოფლიოს ამცნო რუსეთში წარმოშო-  
ბილი ბოლშევიკური რევიმის ნამდვილი ბუნება, რომელიც  
დასაჭყისი იყო შემდეგში მთელი აღმოსავლეთ ევროპის ჯვა-  
რზედ გაკვრისა და მსოფლიოს მრავალ კუთხეში კატინისე-  
ბური ძმათა სასაფლაობისა.

25 თებერვალი საქართველოს გლოვის დღეა. როდესაც  
საქართველოს უსისხლო რევოლუცია დაეცა დამპყრობელ-  
თა ხიშტის ძალით და ამ დღიდან «რუსეთის სოციალისტუ-  
რი რევოლუცია» ქველი რუსული იმპერიალიზმის განხორ-  
ციელებას შეუდგა.

დაამთავრა რა შიგნივე გაწამებული სამოქალაქო ომი, მან  
მიიღო თავისი ნამდვილი იმპერიალისტური სახე და პირვე-  
ლი უდანაშაულო მსხვერპლი ამ პირწავარდნილი შავი რეა-  
ქციისა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა,  
რომელიც მხოლოდ მეზობელთა კეთილ-განწყობილებაზედ  
ოცნებობდა და ზრუნავდა.

გახდა რა წითელი არმია თავისუფლების მოყვარე ერის  
აზრების მტაცებელი და ყაჩაღური მფლობელი, მან ხალხის  
ნება-სურვილებს კლიტე დაადო და თავისუფლების ნიშან-  
წყალი ვერაგულად მოსპო.

საქართველოშედ ომის გამოუცხადებლად ყაჩაღური თავ-  
დასხმის აქტით, მოსკოვმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ეს  
შემოსევა იყო უსასისი უარყოფა კეთილსინდისიერები-  
სა ინტერნაციონალურ ურთიერთობაში, და უტიფარი გალა-  
შქება მშვიდობიანობის წინააღმდეგ, რომელსაც ის დაემდე  
აგრძელებს. თავისუფლების მოყვარე ერების მსხვერპლთა  
სია, იმდენად დაგრძელდა, რომ დასავლეთ ევროპას ზედ კა-  
რზედ მიადგა.

რაც რუსეთის წითელი არმია გახდა იმპერიალისტური  
მინების განმხორციელებელი მთავარი ძალა, მილიტარის-  
ტული მოქმედების სულის ჩამდგმელი და თავისუფლების  
აღმევეთელი, სადაც ის მიდის, იქ მას ცეცხლი მიაქვს, ცეც-  
ხლი მომსპობი თავისუფლებისა და მშვიდობიანობისა.

შემოვიდა რა ბოლშევიზმი საქართველოში, თან მოიტა-  
ნა ნერება და შიმშილი, დახვრეტა და გადასახლება. უდანა-  
შაულო ხალხის სისხლით გაპოხიერებული მიწის პატრიანი  
სახელმწიფო გახდა და კერძო საკუთრების მოყვარე ერი  
ლუმპე-პროლეტარად გადაიქცა. მართალია, მათ მოიტანეს  
ტრაქტორები, მაგრამ ტრაქტორებით მოყვანილი მოსავლის  
მებატრონები სახელმწიფო შეიქნა და გლეხის წელში გამწყვე-  
ტი შრომის ამანაზღაურებელი—შრომა დღეების ოდენობა-

ზედ დანორმილი კილო ხორბალი განადა. ბოლშევიკები ქვეყნის გაძარცვას შეუდგენ: საქართველოს მარგანეცი, მარმარილო, გუმბრინი, ასკანიტი, მოლიდევნი, დიატომიტი და სხვა რუსეთის იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებელ იარაღის ნედლ მასალად იქნა გადაჭეული. დაიწყო რუსიფიკაცია—ათასობით ქართველი ახალგაზრდა იგზავნება შუა აზიაში, თითქოს ყამირი მიზნების გასატეხად; თვით საქართველოში კი რუს მოსახლეთა რიცხვმა 10 პროც. გადაჭარბა და უკმაყოფილო მასების თვალის ასახვევად; რუსი იქნა გამოცხადებული ქართველთა უფროს ძმად. ასე რომ, ბოლშევიკების მუხანათური პოლიტიკა ერს მთელი თავისი სიძიმით აწევს.

მაგრამ ერთის გადაშევეტილება მტკიცეა. მას ჩეკის ჯალათები ვერ გასტებს. საქართველომ ეს დამტკიცა, რადგან წითელი რეეიმი ხალხმა არ მიიღო და მან ხალხი. მათ შორის ბოლშევიკების დამპყრობელი სისხლიანი ხიშტრი დგას, ხიშტრი იმპერიალისტური მოსკოვის ბატონობის დამცველი და მონაბის მომტკიცა.

დეკიმებრის მტრება, რომ ქართველი ხალხის გატეხა შეუძლებელია, ის ბრძოლაში გამოცდილია და მას დიდი მომინების უნარი აქვს; ის არ წამოევება მტრების პროვოკაციაზე, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ის ელოდება. 26 მაისი ალსოდგება.

ঃ. দেশোদ্ধোষ।

ନେବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

12 თებერვალი. დილით სტუდენტთა სასადილში მიგდიოდი (აქ იყო სტუდ. გამგეობის სამდივნო), გზაში რაღაც ყველანი დაღვრებილი მეჩვენა, ყურადღება არ მივაქციე. სამდივნში შევვდი და მუშაობას შევუდევ. 11 საათით იყო სასადილოს დარბაზში გამოვედი, არაწევულებრივათ მრავალი სტ—ბი იყვნენ იმ დროისათვის და ჯგუფ-ჯგუფად ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ერთ ჯგუფს შეუერთდი.—არა, ადერბაიჯანელებს შემოუტევია და წითელ-ხილზე გამოსულან, თბილისს უახლოვდებიან—ამბობდა ერთი. მე მითხრეს სომხები გამოვიდენ ხრამზე და წინ მოიწევენო—სქვთვა მეორებ. მესამე კიდევ დაუმატა: ამ დილით სამხედრო სამინისტროს ერთმა მოხელემ გამომცა, რომ შავი ზღვის ნაპირებზე შემოვგიტია წითელმა ჯარმაო. ყველა მეტად შეწუხებული და ალელვებული იყო. უნდოდათ გაეგოთ რაშია საქმე. რა მოხდა.—შეიძლება ყველა ეს ხმებია, პროვინციაა, პანიკის ჩამოსაგდებათ. საჭიროა სინამდვილის გაეჩი—გაისმა ხმები...

ვინ ბრძანდებით? შევეკითხე. — გრიგოლ ლორთქიფანიძე ვარ. გრიგოლ ლორთქიფანიძე — მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, განათლების მინისტრი. რა ამბავია? გამიერვა თავში. — შეგიძლიათ 12 საათისათვის უნივერსიტეტში მოიწყოთ სტუდენტთა მიტინგი? მდგომარეობა მეტად ცუდია: მტერი ყოველი მხრიდან გვიტევს, მცირვ სანაპირო ჯარები მტრის ძლიერ შემოტევას ვერ უძლებს და უკან იხევს, საჭიროა მიშველება, გამხნევება, სანამ მაშველი ჯარები მოსულან. აქ სტუდენტებმა უნდა იყოჩალონ. ახლა უკვე 11 საათია და ერთ საათში ვერ მოვახტერხებთ მათ თავ შეყრას. სტუდენტები გაფანტულია მთელ ქალაქში: კლინიკებში, ლაბორატორიებში, სემინარებში... და საგრძნობი ნაწილი მსახურობს. თუ გვიანი არ იქნება, 3 საათისათვის შევსძლებ ვაცნობო ყველას. — კეთილი 3 საათისათვის იყოს. მაშ 3 საათზე გრ. რცხილაძე და მე უნივერსიტეტში ვიქებით — მითხრა მან. მივიღეთ სასწრაფო ზომები: ყველანი გავაფრთხილეთ უნივერსიტეტში, ინსტიტუტებში.

სამი საათისათვის სტუდენტობა თავს იყრის უნივ. პირველ აუდიტორიაში (ეს იყო ყველაზე დიდი დარბაზი). სამშე და ხუთ წუთშე კათედრაზე გამოიდის ბ-ნი მინისტრი. სტუდენტები ტაშით ეგებებიან. მოკლეთ დრამატიულ სურათს ხატავს მდგომარეობისას და მგრძნობიარეთ მოუწოდებს აა-ალგაზრდობას თავის წმინდა მოვალეობის შესრულებისათვის. ის გრ. რცხილაძემ შესცვალა. მისი თბილი, მგრძნობიარე მოწოდება ახალგაზრდათა მიმართ, ტაშით იტარებოდა.

შენობა ველარ იტევს, მიტინგი ეზოში გადავიტანეთ. აქ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი მამა და მათი უსაყვარლესი ადამიანი ივანე ჯავახიშვილი მათ მიმართავს: «შეილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერთი ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ცველაზერი განხე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და, აი, მეც თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ» ვაჟაპატასა უნდა გული რკინისა, თუნდა აბჯარი ჰქონდეს ხისაო... უკანასკნელი სიტყეა ქართველ სტუდენტ აქრაბის (ასე ეძახოდნენ მას) გიორგი ნაკაშიძეს ერგო. მან მისთვის ჩვეულებრივად მგრძნობიარებით ახალგაზრდათა მღელვარება უმაღლეს მწვერვალამდი აიყვანა. გოგონები ცრემლებს ლერიდნენ.

გაისმა მქუჩარე ხმა გ. სვანიძის: სასახლისაკენ, გუნდმა დასძახა: «ქართველო ხელი ხმალს იყარ». ხალხი დაიძრა. სასახლის წინ მათ მიესალმა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე და პროფ. შ. ნუცუბიძე. იქვე შესდგა რამოდენიმე რაზმი ყოფილ ოფიცერ სტუდენტთა მეთაურობით. რომელთაგან ბევრნი მსხვერპლად დაეცნენ სამშობლოს სამსკერპლოზე.

ც. შარამუ.

## კომუნისტური პრესა ტურის! \*)

ხელში გვიცირავს 1961 წლის I-ლ იანვრის საზეიმოდ გამოსული განეთი «კომუნისტის» სპეციალური ნომერი. ამ ნომერში დაბეჭდილია განეთ «კომუნისტის» 1922 წლის ობერ-ვლის სტატიის ამონაწერი, სადაც იგი ულოცავს ქართველ ხალხს—1922 წელს და მსხვილი ასოციაცია წერს: «გილოცავთ ახალ—1922 წელს: საქართველოს მუშებისათვის, გლეხებისათვის პირველ თავისუფალ დღესახულს, ამხანაგება!».

კარგი თავისუფლება შენმა მზემ, უცხო შეიარაღებული ძალებით შემოქაინების ჩვენს ქვეყანას, დამოუკიდებელი სახელმწიფო გაუუქმეს და ძალით საბჭოთ იმპერიაში მოაქციეს.

შემდეგ განეთი ტრაბახობს საბჭოთა ხელისუფლების მილწევებით: «ამ 40 წლის განმავლობაში ჭაობები ამოვაშრეთ, არხები გამოვიყვანეთ!»—დიდი რამე მომხდარა შენმა მზემ, თუ 40 წლის მანძილზე ჭაობები ამოვაშრეს, არხები გაიყვანეს. განა ქართველ ერს რომ თავისთავადობა დასკლოდა, იგი უკეთ არ მოუვლიდა თავის ქვეყანას? ანდა არ უვლიდა მას კომუნისტების ჩვენში გაბატონებამდე?—ქართული მეურნეობის კეთილმოწყობით, სარწყავი არხების მშენებლობით, განცვიდებაში მოდიდონები ანტიკური ხანის ძველი ბერძნი—ისტორიკოსების ქერძოობები, ქსენოფონტე და სტრაბონი.

«მენშვერიკების დროს (ჩვენ ვიტყოდით საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, რადგან კომუნისტებს ძალიან ეშინიათ ამ სიტყვისა) მამა-პაპური კავით ამუშავებდნენ მიწასო და ჩვენ ტრაქტორი და კომბაინები შემოვილეთო!» იკეცხნის განეთი. დიდი რამე მომხდარა! დასავლეთ ევროპაში საბჭოებშე აღრე შემოილეს ტრაქტორი, მაგრამ აშით რომელიმე ერის დაპყრობას არავინ ამართლებს.

«რა დაგვიტოვა ძველმა, —წერდა 1922 წელს განეთი «კომუნისტი», —(აქ ამ ძველში, ნაგულისხმევია საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა) უკულმართმა ცხოვრებამ? (და იქვე თვითონ აძლევს პასუხს): წერა-კითხვის უცოდინარობათ».

აი როგორ ტყუუდა მაშინ, ე. ი. 1922 წელს განეთი «კომუნისტი», და აი როგორ სტყუის ის დღესაც, 1961 წელს.

საქართველო ჯერ კიდევ ძველად რუსეთის იმპერიაში წერა-კითხვის მცოდნე და განათლების მქონე პირველ და მოწინავე ქვეყნად ითვლებოდა. და როცა დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველო მოიფინა უფასო დაწყებითი სკოლებით, საშუალო სასწავლებლებით და საღამოს კურსებით ასაკ გადაცილებულთათვის. სწორედ მაშინ საფუძველი ჩა-

\*) გაღმოლებულია რადიო სადგურ „თავისუფლება“-ს გადაცემიდან. ავტორი ი. იმერიძე. 17.1.61.

ყარა ქართულ ინივერსიტეტსაც; ასე, რომ საქართველოში კომუნისტებს არაფერი სასწაული მოუხდენის; მოახდინეს ის კი, რომ ძველი გიმნაზიები გააუქმეს და ყოველწლიწადში ახდენდნენ და ეხლაც ახდენენ სასკოლო ექსპერიმენტებს, რამაც სწავლის ხარისხი მთელს რესპუბლიკაში დაქვეითა.

შემდეგ 1922 წლის გაზეთი «კომუნისტი» დიდი რიხით აცხადებს: «გლეხებისა და მუშების შვილებს საშუალება მივეცით მშობლიურ ენაზე მიიღონ უმაღლესი განათლება» ო.

კი მაგრამ, რად სტუუის ასე გაზეთი კომუნისტი? — საქართველოს დაპყრობაშე წითელი არმიის მიერ, რესპუბლიკის ყველა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა მშობლიურ ენაზე — ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, და სწორედ ამის შემდეგ 40 წელია, რაც კომუნისტებმა საქართველოში გააბატონეს რუსული ენა, ჯერ როგორც ლენინის ენა, შემდეგ როგორც «დიდი» ოქტომბრის ენა და ეხლა კი, როგორც «მეორე მშობლიური» ენა და სწორედ ეს არის სასაცილო და სავალალოც, რომ შექმნეს არსად არ არსებული თეორია და პრაქტიკა «მეორე მშობლიური» ენისა.

გაზეთი «კომუნისტი» იქვე აღნიშნავს: «გავაძეთნიერეთ» ქართველი გლეხობა! ეს არის სწორედ სასაცილო. თუ კი გააბეჭდინერეს ქართველი გლეხობა, მაშ რათ აჯანყდა 1922 წელს გლეხობა სვანეთსა და ხევსურეთში, 1923 წელს ხელმეორედ ისევ ხევსურეთში, 1922—1923 ი წლის აჯანყება გურიაში, 1924 წელს აგვისტოს სოულიად საქართველოს აჯანყება, 1932 წელს აჯანყება იმერეთსა და სამეგრელოში. 1933 წელს კახეთში, 1956 წლის მარტში თბილისელ ახალგაზრდობის გამოსვლა და სხვა. აქვე უნდა მოვაგონოთ პერიოდულად ჩატარებული «წმენდები» და ყველაზე დიდი «წმენდა» 1937 წელს, ცნობილი ეკონომიკინის სახელით, რაზედაც ჩვენმა ერთა დიდი მსხვერპლი გაიღო. აი რას უწოდებს კომუნისტური პროპაგანდა ბეჭდიერებას, რომელიც კრემლის მესვეურებმა მოუტანეს მრავალტანჯულ ქართველ ერს.

გაზეთი «კომუნისტი» თავის წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: «ასე შემოვიდა საბჭოთა საქართველოში მეორმოცე ახალი წელი — 1961 წელი. გაივლის იანვარი, ხალხი იტყვის: თებერვალი და დაგა, ხეში წყალი ჩადგაო... დიას, საქართველოს მშრომელები სიამაყით მოიგონებენ 1921 წელს...» — მეტს არ გავაგრძელებთ ამთავრების მოყვანას, ესეც საკმარისია იმისათვის თუ რა სწადიათ კრემლში მოკალათებულ კომუნისტ-იმპერიალისტებს და მათ თბილისელ აგენტებს, მათ სწადიათ რომ ჩაუნერგონ ქართველ ხალხს მისი საძულველი თებერვალის — საქართველოს დაპყრობის თარიღი, ვითომდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ დღეთ; მაგრამ ქართველმა ადამიანმა კარგად იცის, თუ რომელია მისი ეროვნული დღესასწაული; ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ იარაღით საქართველოს დამპყრობი, ვინც არ უნდა იყოს და



ეროვნული  
მინისტრი

რა ფერისაც არ უნდა იყოს იგი წითელი თუ შავი, არავის არ უყვარს, მით უფრო ქართველ ერს, რომელსაც ათასწლობით უცხოებრივ თავისი ისტორიული და სახელმწიფო ბრიტი ცხოვრებით!

1921 წლის თებერვალი—დამპყრობელის დღეა, და არა ჩვენი ხალხისა!

### ბ რ ძ მ ლ ა \*)

პირველი ცნობა საქართველოს ეკნერალურ შტაბისა. 12 თებერვალი, 1921 წელი. «ლამით 11-დან 12 თებერვალს ჩე-გულიარული ჯარის ნაწილები სომხეთის მხრით მოულოდ-ნელათ დაესხებ თავს ბეჭობდალით ჩვენს მოწინავე სადარა-ჯოებს სადგურ შაგალისთან და სოფელ შინიხთან ბორჩალოს მაზრაში. ამავე დღის ბორჩალოს მაზრაში მოსაზღვრე მოსა-ზღვრის ნაწილმა, შემდგარმა სომხებისა და რუსებისაგან, მოაწინა აჯანყება და შეუერთდა თავდამსხმელთ, მეორე ნა-წილი კი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის დროზე შეგვატყო-ბინა განძრახულ თავდასხმის შესახებ. ბეჭობდალის მხრით თავდამსხმელი გავფანტეთ, ვორონცოვის რაიონში აჯანყე-ბა დაძლეულია. შაგალის, უზენლიარის და შინიხის რაიონე-ბში ბრძოლა სწარმოებს».

14 თებერვლის სამხედრო ცნობა. «13 თებერვალს ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლას ვორონცოვის და სადახლოს სამხრეთით. ხელში ჩაგვივარდა ტყვეები, რომლებიც მოწმო-ბენ, რომ ჩვენს ჭინალმდევ მოქმედებენ სომხურ-რუსული საბჭოთა ჯარები».

15 თებერვლის ცნობა. «14 თებერვალს სადახლოს რაი-ონში სწარმოებდა სროლია და მზევრავთა მოქმედება. მოქმე-და ამ რაიონში ატრიცობა არ გამოუხერია.

ლორის ველზე მტერი შეეცადა გადასულიყო შემოტევა-ზე, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მტრის ცდა გააქარწყლა. ლამით ჩვენმა ჯარებმა და იყიდვება ამ რაიონში უფრო ხელსა-ყრელი პოზიციები სიმალლეებზე, რომლებიც ვორონცოვის ჩრდილოეთით მდებარეობდნენ.

აზტრილერიის ნაწილი, რომლის შესახებ 12 თებერვლი-დან ცნობები არ გვქონია და რომელიც შინიხის რაიონში დალუპულათ ითვლებოდა, გზა გაიკავა მის გარშემორტყმულ მტრის რკალში და მთის ბილიკებით გამოვიდა თავისიანებ-თან შესაერთებლათ».

19 თებერვლის ცნობა. «ლამით 18-დან 19 თებერვალს მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე თბილისის კარებნე. გააფორმებული ბრძოლა მთელი ღა-

\*) იხ. კურნალი «ბრძოლა» 1926 წ. № 19—20.

გრძელდა. მტერი უკუგდებულ იქნა მძიმეთ დაზიანებული და უწესრიგოთ შირბის. ჩვენ უკან მივდევთ. ჯერ-ჯერობით ხელთ ვიგდეთ 1000 ტყვე».

20 თებერვლის ცნობა. «კოვიდის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზანები, ტყვიის-მტრქვეველები. მტ-რის დევნა გრძელდება.

გაგრის რაიონში, მდინარე მეხადირზე, სწარმოებს ბრძოლა».

21 თებერვლის ცნობა. 20-დან 21 თებერვალს ღამით მტერმა, ახლად შემატებული ჯარებით გაძლიერებულმა, ორჯერ შეუტია ჩვენს ნაწილებს კოვიდის რაიონში. ორივეჯერ მან მოალწია ჩვენს სანგრებამდე. პირველი იერიში მოგერიებულ იქნა ხელით სასროლი გრანატებით, მეორეკი ხიშტით შეტაკებით დამთავრდა. ჩვენი ჯარები, მიუხედავათ უკიდურესი დალლილობისა ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლის გამო, ორჯერ გადავიდენ კონტრატაკაზე და მამაცური თავდასხმით უკუაგდეს მტერი. კველა შემდეგი ცდა მტრისა შემოეტია ჩვენი ნაწილებისათვის უკუგდებულ იქნა ცეცხლით. დილის 8 საათზე, 21 თებერვალს მტერმა დაიწყო უკან დახვევა...

20 თებერვალს დაიწყო მტრის შემოტევა აღლერის მხრით. საფრანგეთის ესკადრა ჩვენი ტერიტორიის დაცვის საქმეში დახმარებას გვიწევს არტილერიის ცეცხლით, ის უშენს ბოლშევიკებს ფლანგის მხრით.

22 თებერვლის ცნობა. თბილისის მიღამოებში ჩვენი ჯარები მისდევენ კოვიდითან დამარტებულ მტერს. გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მწვერავ რაზებმა დაკავეს სოფელი კუმისი და წალასკური; კუმისთან მოულოდნელი თავდასხმით ლამე ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის 8 ტყვიის-მტრქვეველი, 3 თვეიცემი და 53 წითელარმიელი, წალასკურთან—ყუმბარის და პატრონების ცუთები...

კახეთში დაიწყო აღგილობრივ გლეხობის ძლიერი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკურ კავალერიის წინააღმდეგ.

უკუგდებულ იქნა მტრის ცდა ჩვენს მოწინავე პოზიციებს მოახლოებოდა დარიალში.

23 თებერვლის ცნობა. 22 თებერვალს თბილისის მიღამოებში სიმშეიდე იყო, მხოლოდ სალამოს დაიწყო მტრის მცირე ნაწილების შემოტევა ყარაიაზის მხრით საგარეჯოზე.

კახეთში გლეხების პარტიზანული ბრძოლა ძლიერდება.

დარიალის ხეობაში მტრის შემოტევა უკუგდებულ იქნა.

გაგრის მიმართულებით მტერმა მრავალრიცხოვანი ძალებით შემოუტია ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს: ბრძოლები გაგრასთან გრძელდება....»

## თბ. ნუზათა გათალ. ჩაზმელის დღიურიდან<sup>\*)</sup>

23 თებერვალი.

ლამის 3 საათზე ვიწერთ სამი მთის გამაგრებულ პოზიციებს, ლოჭინის ხიდის ახლოს. ისეთი სუსტიანი ქარი პქრის, რომ დაბადების დღეს ვიწყევლით.

გორაკებზე საუცხოო სანგრები, ბლინდაჟები და გასასვ-ლელები დაგვიხვდა გამზადებული.

ეს თადარიგი მთავრობას დაუჭერია რამოდენიმე თვის წინ ყოველ შემთხვევისათვის. ღამე სიცივემ დაქარმა სიკვდილი მოგვანატრა. მტერზე არავინ ფიქრობს, მგრნი. ვინც ვერ მოითმინა და დაიძინა, ავათ გახდა.

დოლით გვარდილებმა იქვე, სანგრების წინ, დელში გადაირბინეს შეშისათვის, უცებ გამოჩნდენ მტრის ცხენოსნები და ცხვირ წინ სამი გვარდილი მოვტაცეს. უბედურებს იარალი თან არ წაელოთ, ისე წასულიყვნენ.

ყველანი დავლონდით, მაგრამ შეელა არ შეიძლებოდა, რადგან სროლით ჩვენებს დავხოცავდით. უნდა ითქვას, რომ მტრის კავალერია ძალიან გათავსედებულია. სანგრებზე სულ ახლოს მოდიან, მათ ერთმა ჯგუფმა მოინდომა იქვე ჭალაში მაძოვარი საქონლის ჯოგის გარეკა, მაგრამ ცეცხლით გავთანხმეთ. ერთი ცხენი მკვდარი დასტოვეს და რამდენიმე მხედარი დაჭრილი.

ჩვენი არტილერია კარგათ უმიზნებს. ერთი ყუმბარა შიგ მწყობრში ჩაუგდო, რის შემდეგაც იკადრეს დაქვეითება და გაფანტვა.

სალაშო ხანს ჩვენთან მოვიდენ ალექსანდრე, ვლადიმერი და შტაბის სხვა წევრები.

ჩვენ შეკითხვაზე ფრონტის მდგომარეობის შესახებ სიცილი დაგვიწყეს: მთელმა ევროპამ გაიგო ჩვენი ჯარის და გვარდიის გამარჯვებები და თქვენ არ გცოდნიათ.

შტაბის წევრები სიტყვით მარცხენა ფრთის ბედი ამაღლამ ან გათენებისას უნდა გადაწყდეს.

გვემატება ტყვიის-მფრქვეველები და ორი ზარბაზანი.

საბეღნიეროთ ქარი ჩადგა. უწყლოობამ ძალიან გაგვიკირვა საქმე.

დალამდა. მტერმა ვაზიანისაკენ რაღაცას ცეცხლი გაუჩინა. მოსახანს ლამის წყვდიალში ცეცხლის კოცონები. ლამაზი სანახაობაა, მაგრამ, როგორც ამაზე იფიქრებ, მაშინვე მოგავონდება, თუ რისთვის დგეხარ აქ და მწარე ფიქრები გულს გიპლავენ...

ღამემ წყნარად ჩაითარა.

<sup>\*)</sup> ეს წერილი ამოლებულია გაზ. «ერთობა»-დან—5 მარტი 1921 წელი. № 48.

დილაა. მტერი არა სჩანს.

გვარდიელები გადადიან ლიანდაგზე შეშისთვის. მე და ამხ. ა. გ—ძეც მივდივართ. გვიარეთ ერთ ნახევარ ვერსტზე მეტი, მიუიხლოვდით ლოჭინის ხიდს, მაგრამ მტერი ვერ შევამჩნიოთ.

დილის 11 საათზე გამოჩნდნენ ცხენოსნები, ჩეენსკენ მომავალი მტრის კოლონები ადვილათ გაფანტა არტილერიის ცეცხლმა.

მტერს ჩვენს წინ, სულ ახლოს, ოთხი ზარბაზანი უდგას, რომელიც ააროდ ეძებს ჩვენს არტილერიას.

თოვს. ირგვლივ ნისლი ჩამოწვა. მტერმა არტილერიის ცეცხლი სანგრებზე გადმოიტანა.

საბედნიეროთ, ბევრი ყუმბარა არ სქდება. ეტყობა, შეტევისათვის ემზადებიან...

აამდება. ჩვენ მარჯვნივ უკვე დაიწყო მტერმა შეტყვა. განუწყვეტილი მწყობრი სროლაა. ორი იქრიში მოგერებულია. სროლა მიყუჩდა. თოვს და საშინლათ ცივა.

აამის პირველ საათზე ირკვევა, რომ ჩვენი მწყობრის გარდა ყველანი წასულან სადღაც.

რაშია საქმე? იქნებ იყო საამისო ბრძანება?

გუნდის უფროსს გზაში შეუმჩნევია, რომ ჩვენი მწყობრი არ სჩანდა და შიკრიკი გამოეგზანა.

არ გვჯერა, რომ უკან ვიხევთ. დღეს დილით ხომ ყველანი დარწმუნებული ვიყავით ჩვენს გამარჯვებაში?

ალბათ, მტრის მარჯვენა ფრთის შემოსავლელათ თუ მივდივართ!

გზაში დავეწეოთ ყველა ბათალიონებს.

რათ ვიხევთ უკან?

თურმე ჩვენი ბედი მარჯვენა ფრთას გადაუწყვეტია. მტერს მრავალრიცხვანი მაშველი ჯარი მოსვლია ცენტრში.

დიდ უბედურებას ვგრძნობთ ყველანი.

თბილისი დაეცა.

ასე მოულოდნელათ, ასე ჩქარა!

ნუ თუ ყველაფერი გათავებულია?

ამონსავლეთი ვუახლოვდებით ჩვენს საყვარელ ქალაქს. ეს გამოთხვების წუთები უცნობ განცდას იწვევენ ჩვენში. ვგრძნობ, რომ რაღაც მეტათ ძვირფასი და საყვარელი დავკარგეთ.

ქალაქი ჩვეულებრივათ გაჩირალდნებულია. იქნებ მან არც კი იცის, რომ მისი ბედი გადაწყვეტილია!

ქალაქს თავს ჰაეროპლანი დასტრიალებს,—უეჭველია, ჩვენი.

ნახვამდის ჩვენო საყვარელო დედა-ქალაქი!

არ გემშვიდობები, რადგან მჯერა, რომ შენ ისევ ჩვენი იქნები.

რაზმელი — ია.

## დაცულობის პირველ დღეები<sup>1)</sup>

ქართველების პირველი თავშეყრა.

მტრის შემოსელის შემდეგ, ქართველობის პირველი თავშეყრა მოხდა ტაბახმელას გორაწე ბრძოლაში დახმცილ ვაჟაპათა დასაფლავების დღეს. შავ-ძაძებში გახვეული ქართველობა მიაწყდა საავადმყოფოს. სამგლოვიაროთ შემოსილმა სამლენელებამ საავადმყოფოს ტაბრიდან რამოდენიმე ათეული შავად მოსილი კუბონ გალობით გამოასერნა. მთელი ქართველობა ქვითინით მიასვერნებდა ცხედრებს. სასახლის წინ დიდების ტაბრის გალავანში გაიშალა სამგლოვიარო პროცესია. რამოდენიმე ათეულ ვაჟაპათა ცხედრები ერთად ესვენა, — ყვავილთა თაიგულები ამკობდა მათ კუბონებს. უცებ გაისმა ეპისკოპოს ლეონიდეს ხმა — «მამულისათვის თავდადებულ გმირების საფლავზე მუხლი მოვიყაროთო» — ამ სიტყვაზე რამოდენიმე ათი ათას შავებში მორთული დედები და მამები პირქვე დაემხო. ძნელია ამ გრანდიოზული სურათის გადმოცემა...

ეპისკოპოს ლეონიდემ გადაიხადა პანაშვილი, წარმოსტევა სიტყვა პატრიოტული, დიდებით და ქებით მოიხსენია მამულისათვის თავდადებული გმირები, ქართველი მხედრობა და ეროვნული მთავრობა.

ღმისაცი მდის თავზე.

ქართველებს აქვს ადათი, გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე პანაშვილი გადაიხადოს, — თავისი მიცვალებული მოიგონოს, მის ხსოვნას პატრიოტი სცეს, მთელი თბილისის ქართველობა კოჯორ-ტაბახმელას, მტრის მიერ განგმირულ სასახელო შეიღების საფლავზე შეიკრიბა. ზღვა ხალხი თვალ-ცრემლიანი, ყვავილებით ამკობდა საფლავებს. მიცვალებულთა სასტუმრებთან ანთებული წმინდა სანთლები ბრწყინვავდა. აქა-იქ ჩარგული სამფეროვანი ეროვნული ღრმშები, მოსულთ გულს უამებდა, სანხაობა იყო წარმტაცი, რომელსაც ამშვერებდა შემასილი სამლენელება კათალიკოს ლეონიდეს მეთაურობით, ლოცულობდა მთელი სამლენელოება, გალობდა გუნდი... უცებ გაისმა ეროვნული პიმნი «დიდება», ზღვა ხალხი მიწაზე დაემხო. ყველას თვალებზე ცრემლები მოადგა. ქვითინებდა მთელი თბილისი. ხალხიდან გამოვიდა ახალგაზრდა პოეტი X და წაკითხა თავისი ლექსი მიძღვნილი გმირულად დალუპულ ჯარის-კაცებისადმი და შემდეგ სიტყვით მიმართა ხალხს. «ჩეკისტები» დაიბნენ, აღარ იცოდენ

<sup>1)</sup> ყველა აქ მოყვანილი ცნობები ამოლებულია უურნალ «თავისუფალი საქართველო»-დან. სტამბოლი 1921—1922 წ.წ.

რა ექნათ. ამ დროს ტრიბუნაზე ავარდა სახალხო პოეტი, ძველი რევოლუციონერი, გაკაეუბული პატრიოტი, სახალხო ტრიბუნი ვლასა მგელაძე, და თავის მშერმეტყველური ენით ზღვა ხალხი აატირა, ააცრემდა და ასე დააბოლავა: «ი ეს სამფეროვანი დროშა იქ სასახლეზე უნდა ფრიალებდეს. —იქ ჩვენი მთავრობა და ერის საყვარელი ბელადი ნოვ ქორდანია უნდა განაგებდეს და არა მოლალატე იუდეებიო».

«ჩეკისტებმა» პოეტი დაპატიმრეს იქვე, ქალები მისცვინდენ—მოინდომეს მისი განთავისუფლება, მაგრამ ვერ შესძლეს... ხოლო, როცა რუსის «ჩეკისტებმა» მოინდომეს ვლასა მგელაძის შეპყრობა, აქ კი მთელი ხალხი შეინძრა, აყვირდა: «ძირს დამპყრობელებით—ოცვირილით—მივარდენ,—მგელაძე ხელიდან გამოსტაცეს «ჩეკისტებს» და გაიტაცეს.

სამშობლოსთვის თავდადებულ ახალგაზრდათა სასაფლაო-სთან დაიწყო პირველი ბრძოლა ოკუპაციურების წინააღმდეგ.

მუშათა დეკლაცია სახასლეში.

დაპყრობის პირველ ხანებში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოხდა საპროტესტო მიტინგები, სადაც გამოტანილ იქნა ოქთოლიუციელი. ადგილის სივიწროვე ჩვენ აქ ნებას არ გვაძლევს მათი შინაარსი მოვიყვანოთ, ყველა ისინი დაბეჭდილ იქნენ თავის დროზე ქართულ გამოცემაში (იხ. «თავისუფალი საქართველო»-ს ნომრები. სტამბოლი). ყველან მოითხოვეს, ალდენილ იქნას საქართველოს დამოუკიდებლობა, გაყვანილ იქნას რუსის ჯარები. დედა-ქალაქ თბილისის საპროტესტო მოძრაობა განსაკუთრებულ გრანდიოზულ ხასიათს ლებულობს. დემონსტრაციები, კრებები, მიტინგები, ყოველ-კუთხეში, ფაბრიკა-ქარხნებში, სასწავლებლებში და განსაკუთრებით უნივერსიტეტის შენობაში.—სტუდენტების შეუწყვეტელი კრებები—სადაც მოითხოვდენ რუსის ჯარების გაყვანას.

მანიფესტაციებს და მიტინგებს შობყვა თბილისის 10.000 მუშა-მოსამსახურეთა სახელით დელეგაციის გაგზავნა ე.წ. «რევოლუციონური მოთხოვნილებანი: 1) საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა; 2) ქართული ჯარის უფლების აღდგენა; 3) ბეჭედვის, სიტყვის, კრებების თავისუფლება; 4) ქართველი მუშების რუსეთში გაგზავნის შეწყვეტა; 5) დაუყონებლივ—შეწყვეტა რუსის ჯარების თარეშის სოფლებსა და ქალაქებში.

«რევოლუცია» არა თუ რაიმე პასუხი გასცა დელეგაციას, ის დაატყვევა და გაგზავნა ციხეში.

დაიწყო რეპრესიები. ციხეები გაიგსო მუშებით, გლეხებით და სტუდენტებით ... არ დარჩენილა ქართული ოჯახი, —რომლის ერთს წევრს და ხშირად მთელს ოჯახს—ციხეში არ ამოეყოს თავი. მამების დაჭრამ გამოიწვია მცირე წლო-

ვან მოწაფეების მანიფესტაციები ბათომში, თბილისში, ქუთაისში და სხვა დაბა-ქალაქებში.

უქმაყოფილების ტალღა გრძელდება სხვადასხვა ფორმებში.

სვანგთის აჯანყება.

დაპყრობის პირველ წელში—დეკემბრის რიცხვებში,—აჯანყდა თავისუფლების მოყვარული ამაყიამხარე საქართველოსი სვანეთი. მთელი მოსახლეობა რითაც კი შეიძლო,—თავს ესხმის საოცუპაციო ჯარებს და განაირალებს. ქალ ქუთაისიდან მოსულ ჯარებმა სისხლში ჩაახჩერს აჯანყება და მთელი მხარე ცეცხლს მისცეს.

### ს ე ვ ს ე რ ე თ შ ი.

ამ მხარეში გაიჭრა ოფიცერი—ეროვნული გმირი—ჩოლოფაშვილი, შეადგინა პარტიზანული რაზმები და დაიწყო უსწორო და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ.

... გვრის მიღამღებში.

გორის მაზრაში მოქმედებდა მეორე რაზმი მამაც მებრძოლ მიშა ლაშქარაშვილის მეთაურობით.

ფ. მახარაძე პროვინციაში.

მოსკოვის მიერ შექმნილ «მთავრობის» თავმჯდომარე მახარაძე—განიხრახა პროვინციების ჩამოვლა.

ადგილობრივ კომუნისტების თაოსნობით მოწვევულ კრებებზე და მიტინგებზე, სადაც კი გამოჩნდა მახარაძე, ხალხი მტრულად შეხვდა «ძირს მოლალატე»—«გაიყვანეთ რუსის ჯარები». ვერსად ვერ შესძლო მახარაძემ სიტყვა ეთქვა. მოწვეულ კრებაზე კი გამოიდიოდენ გლეხებიდან ორატორები, კიცხვდენ და გმობდენ მოსკოვის თავდასხმას...

პირველი 26 მაისი—დაპყრობაში.

ქართველ ერმა 26 მაისი დაპყრობის პირველ წელში იღესასწაულა მალულად, ხალხი ჩუმ-ჩუმად მიღიოდა ტყეებში, მთებში, მალულ ადგილებში შლიდენ სამფეროვან დროშას, მლეორდენ ნაციონალურ ჰიმნს და იშლებოდენ. ქ. თბილისში უცებ ყველა ქარხნებში—გაისმა სპონტანიურად საყვირის (სირენ) ხმა, —ყველგან მოწყობი მიტინგები—სადაც გამოიდიოდენ ორატორებათ—თვით მუშები. რასაკვირელია მეორე დღესვე—დაატყვევეს მრავალი მუშები.

გლოვის დღე.

როცა საქართველოს დაპყრობის ერთი წელი შესრულდა, მთელ საქართველოში მოხდა საპროტესტო დემონსტრაციები, ხალხი შავი დროშებით გამოვიდა, ქუჩებში გაიმართა მი-

ტინგგები, მოითხოვდენ რუსის ჯარების გაყვანას და მდერნ-  
დენ ნაციონალურ ქიმნს. გამოსვლებმა ბევრგან შეტათ მწვავე  
ხასიათი მიიღო; — თბილისში დილიდან საღამოს 5 საათამდის  
სროლა იყო ქუჩებში. ასევე მოხდა ბათომში. აქ დემონსტრა-  
ნტებმა სცემეს რევოლუციის თავმჯდომარეს. ქალაქებში — ქუთა-  
ისში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ხონში მოხდა შეტაკება  
მანიფესტანტებსა და რუსის ჯარებს შორის. ზოგიერთი ქა-  
ლაქებში მთელი დღე დემონსტრანტების ხელში იყო. ქალ. ქუ-  
თაისში — წითელი მილიცია დაიმალა. ბოლშევკიებმა ყველ-  
გან რუსის ჯარის-კაცები გამოიყვანეს, ქართველ მილიციას  
და ჯარისკაცებს არ ენდვენ. ბათომსა და თბილის შორის  
ორი დღე მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. გლო-  
ვის დღე — გადაიკუ ბრძოლის დღეთ. — თუ ამის შემდეგ ასეთ  
საჯარო გამოსვლებს აღილი არ ჰქონია — ეს უნდა მივაწე-  
როთ ქართველი ერის სიბრძნეს, რომელიც დაპყრობის დღეს  
გლოვობს სხვადასხვა ფორმებში, ზოგავს ძალებს და უცდის  
შესაფერ დროს...

1924 წლის აჯანყება.

ქართველობამ უცხოეთში თავის წმინდა მოვალეობათ  
გაიხალა 1924 წლის აგვისტოს აჯანყება ღირსეულად მოიგო-  
ნოს, ათასობით ბრძოლაში დაღუპულ მამულიშევრების  
ხსოვნას პატივი სცეს. დღვევანდველ ნომერში დაწერილ ებით  
მასზე აღარ შევჩერდებით. შემდეგშიც მოვალეობათ გვაწევს  
შესაფერისად ჩვენი ვალი მოვიხადოთ ამ დიდ ისტორიულ  
თარიღის აღსანიშნავათ....

1937—38 წ.წ. რეპრესიები.

სტალინს შიში იპყრობს, მისი ტირანიული სულიველარ  
ითმენს ოპოზიციის ნიშნებს. ველარ ენდობა თავისიანებსაც.  
რის შედეგათ ყოველ საბორთო თვეში იცვლება ე.წ. «კომუ-  
ნისტური მთავრობა». ამ წლებში სტალინმა გაელიტა ათა-  
სობით, მან გადაყარა ციხე-ციმბირში ათასობით ქართველი  
პატრიოტები და მათ მიაყოლა რამოდენიმე ათეული ქართ-  
ველი კომუნისტები.

1956 წ. გამოხვდები თბილისში.

1956 წლის მარტში — თბილისის ქუჩებში გამოიდა ქარ-  
თველი ახალგაზრდობა, მას გვერდში ამოუდგა თბილისის  
მოსახლეობა, რამაც მიიღო აჯანყების ხასიათი. მანიფესტა-  
ციები გაგრძელდა მთელი დღე. მოხდა შეტაკება შეიირალე-  
ბულ ძალებთან. დაიხოცენ რამოდენიმე ათეული ახალგაზრდე-  
ბი. ამ გამოსვლას უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. რად-  
გან თაობა, რომელიც აღიზარდა სტალინის ეპოქაში — არა  
თუ შეურიგდა მის რევიმს, არამედ, მზად არის სამშობლოს  
დახსნისთვის მსხვერპლი გაიღოს...

—

იმავე წლის დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს — თბილის ქუჩაზე — გაიმუშავდა აფიშები, სადაც ამოიკითხავდით: «გაიყვანეთ რუსის ჯარები»... «დაგვიბრუნეთ ჩეკინი დამოუკიდებლობა...»

ქართველი ერის გამკლავება გრძელდება, დღევანდელ რთულ ისტორიულ პირობებში ჩეკინ სრული ნდობით შევყურებთ მომავალს. ამავე დროს ლრმად დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ხალხი ისტორიულ ბრძოლებში გამოვლილი გამოცდილებით და სიბრძნით აღსავს სიტონიშესთან ერთად სიფრთხილეს გამოიჩინს, რათა გამარჯვებული გამოვიდეს და კვლავ ააფრიალოს ნაციონალური ცროშა.

1921 წლის 10 აპრილის კრემა.

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა განსვენებული სილიბისტურო ჯიბლაძე, გამართა თბილისის რაიონის პარტიულ წევრთა საერთო კრება სახელმწიფო თეატრის დაბაზში.

კრებას დაესწრო თბილისში მყოფი პარტიის ყველა წევრი თითქმის გამოუკლებლივ.

ზალა ალარ იტევდა დამსწრეთ.

კრებას თავმჯდომარეობდა ლადო ჯიბლაძე, მდივნობდა შალვა აბდუშელიშვილი.

კრებაზე მეტათ შინაარსიანი მოხსენება გააკეთა სეით დევდარიანმა, სიტყვებით გამოვიდენ ისიდორე რამიშვილი და კიდევ რამდენიმე სხვა ორატორები.

როგორც მომხსენებელი, ისე სხვა ორატორებიც აცხადებდნენ სასტრიკ პროტესტს იმ ძალმომრეობის გამო, რომელ საც ჰქონდა ადგილი ჩეკინს სამშობლოზე თავდასხმით და მოითხოვდნენ დაუყონებლივ ჯარის გაყვანას.

მიღებული იქნა ამავე ხასიათის რეზოლუცია, რომელიც კრების სახელით გაეგზავნა საბჭოთა ხელისუფლებას და გადაგზავნილ იქნა მეორე ინტერნაციონალში.

მიწათმომა მანიოვესტაცია.

1921 წ. 12 დეკემბერს 12 საათი იქნებოდა რომ თბილისის სასწავლებლებში მოსწავლეებმა მოულოდნელად მიატოვეს გაკვეთილები, გამოვიდნ ქუჩებში და ყვავილებით ხელში ძმათა სასაფლაოზე გაეშურენ. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს ახალგაზრდები, რომელნიც სკოლის სკამი არ მოშორებიან, რომელთაც ბრძოლის არც ერთი საფეხური არ გაუვლიათ, გაბედავდნ და კბილებამდე შეიიარაღებულ დამპურობელთა რაზმებს უშიშრად გააპოდდნ, წავიდოდნენ იმ მოვალეობის მოსახდენათ, რისთვისაც მათ დედებს და მამებს ციხეები მოლოდათ და ერს უფრო აღვირწახსნილი რეპრესიები დაატყ-

დებოდა. ერთი საათის შემდეგ ძმათა სასაფლაო გაიგსო ახალ-გაზღვით. მოსწავლეები ყვავილებით რთავდნ საფლავებს. ვაკები და ქალები თვალცრუმლიანი უვლიან დახოცილ მებრძოლებს და ყოველი მათგანი თავისებურად, ბავშური გატაცებით და გულწრფელობით აძლევენ ფიცს, იმეორებენ ან-დერძს მამების მიერ დატოვებულს...

... ამ უდაბნოში, სადაც ყოველ წუთს გესმის მხოლოდ რუსეთის ჯარისკაცების ჩემების ხმა, ეს მოზღვავებული ახალგაზღვითა, ყვავილებით ხელში და ცრემლებით ათზოთლებულ თვალებით—წარმოადგენდა იმ ოაზის რომელიც იმედის ნაპერწკლებათ ლვივის და მომავალზე ოცნებას გიასკეცებს...

ყვავილებმა დაფარა საფლავები... გაისმის სამგლოვიარო ხმა... მსხვერპლად დაეცით მწვავე ბრძოლაში—როგორც ერთი კაცი აღმიტა მუხლ-მოყრილ ახალგაზღვითას და ცრემლში არეული სირყვები მოეფინა მდუმარე სასაფლაოს...

რაღაც განსაკუთრებული მწუხარება, რაღაც განსაკუთრებულ გრძნობა დასტრიიალებდა თავს ამ მოზარდ თაობას და მათი ცრემლები მთელ დაუსრულებელ მოგონებათა ფიქრებს თავს ხვევდა სასაფლაოს...

მაგრამ ამ აღგა ეს ზლვა, თვალებშე მოიწმინდა ცრემლები, სახეობ გადაუჩინა ლიმილმა და მოისმა გუგუნი: «დიდება ზეცით კურთხეულს, აიდება ტურფა ივერს»—თითქმ საყვირის ხმა იყო, საყვირის გათხევებისას, რომ ეძახის მუშებს. თოთქოს ნაძალადევის მთიდან 30 წლის განმავლობაში თავისუფლებისთვის დახოცილ მებრძოლთა შეერთებული ხმა უგალობდა ერს და მის შვილებს, კვლავ თავისუფლებისთვის საბრძოლებათ მოუწოდებდა... და მართლაც ეს ხმა იყო შეერთებული ხმა ძველი და ახალი თაობის. შვილებმა ისწავლეს მამებისგან და ბრძოლაში დამარცხებულ მამებს იმედათ საფლავში ჩაძახოდენ მათგანვე ნაანდერძებ თავისუფლებას ... ეროვნული პიმინი მიწყდა ... მისმა ხმამ ნაძალადევი გამოალვიძა. საფლავებშე აიმართა ტრიბუნა და ზედ გამოჩნდა კაბუკი, «მამებმა შვილებს ანდერძი დაგვიტოვეს—დაიწყო მან—ჩვენი ვალია ეს ანდერძი შვევასრულოთ და დახოცილ მებრძოლთა ძვლებს ფიცი მიესცეთ, მტკიცე, უშიშარი, რომ ჩვენ გავაგრძელებთ მათ გზას და სამშობლოს და დემოკრატიისთვის ისევე ერთგულათ დავდებთ თავს, როგორც ეს აქ განსვენებულ მამებმა მოიმოქმედეს.

ჩვენი მამები ციხეებში სხედან, ჩვენი მამები ტყეებში და მთებში ვაზიზნულან ჩვენი მამები დახოცილები დარჩნენ ბრძოლის ველზე და დამპყრობელებმა მათ გვამებშე გადმოაბიჯეს, ხოლო მხედრები ყვავ-ყორნებს უპატრონოთ დაუტოვეს. მთელი ქართველი ერი ძაძებშია შემოსილი და ყოველ ქოხს გლოვა დაუფლებია. დაპყრობილი ქვეყანა გმინავს მონბის ულელის ქვეშ, ხოლო უცხო ძალები და მოლალატენი დაპატონებიან ქვეყანას...

ჩვენ აქ მოვიგონოთ დახოცილი მებრძოლები და მამათა-  
გან დადებულ ანდერძს კიდევ შევფიცოთ (ყველანი მუხლს  
იყრინ და გაისმის: ვიტიცავთ, ვიტიცავთ).

ახალგაზრდობის თავისუფლობას ესტუმრა თბილისის მუშე-  
შებისგან წარმოგზავნილი დელეგაცია და მადლობა გადაუ-  
ხადა....

მეორე დღესვე ოკუპანტები შეუდენ გამოძიებას. ეძებ-  
დენ ხელმძღვანელებს. ახალგაზრდობამ გამოიჩინა ერთსულო-  
ვნება და ყველანი ერთ და იმავეს უპასუხებდენ: «ჩვენ მოვი-  
ხადეთ ჩვენი წმინდა ვალი ჩვენი მამებისა და სამშობლოს  
წინაშე».....

ასე დასდო ფიცი ახალგაზრდობამ სამშობლოსთვის და-  
ლუპულ მებრძოლთა საფლავებზე და მისგან დათესილ მარც-  
ვლებმა რამდენიმე ათეულ წლის შემდეგ ნახა გამოძახილი,  
1956 წლის ახალგაზრდობის გამოსვლაში მან ამცნო კაცობრი-  
ობას, რომ მის გულში არ ჩამკვდარა მისწრაფება თავისუფ-  
ლებისადმი და იცოდეს მთელ კაცობრიობამ რომ ერთი ასე-  
თი—კვლავ აღსდგება.

მოდალატის პატავი.

საქართველოს დაპყრობის პირველ დღებში შოსკოვის-  
გან დანიშნული ე. წ. «მთავრობის» თავმჯდომარე მახარაძე  
საიდუმლო პატავს აგზავნის მოსკოვში. ის სხვათა შორის  
სწერს მოსკოვს:

„წითელი ჯარების საქართველოში შემოსვლამ და საბჭო-  
თა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო გარედან მოხდე-  
ნილ დაპყრობის ხასიათი, რადგან იმ მომენტში არავინ ფიქ-  
რობდა აჯანყების მოწყობას შიგნიდან.

2. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს, არ აღ-  
მოჩნდა არც ერთი პარტიული-კომუნისტური უჯრედი, არც  
ერთი პარტიის წევრი. ჩვენ იძულებული გავხდით ციხის კა-  
რები გაგვეხსნა და იქიდან გამოყვანილი კრიმინალური პირე-  
ბი ჩავეყყენებია სხვადასხვა აღმინისტრატიულ ადგილებშით.  
კომენტარიები ზედმეტია.

ქართველი სალხის მოდალატები.

დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს სალამოს სხდო-  
მაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„იღებს რა მხედველოში, რომ საქართველოზე თავდასხმა-  
ში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის ულირსნი შვი-  
ლინი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რო-  
მლებიც უმუალო მონაწილეობას იღებენ შეიიარაღებულ ბრ-  
ძოლოაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ  
ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოლა-  
ლატებათ. მათ ერთმევთ ყოველივე ქონება და კანონს გა-  
რეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულე-  
ში მოყვანა ევალება მთავრობას!“.

## უ ც ხ ო მ თ ბ ი.

რუსეთი ჯარებით შემოვიდა საქართველოში და იგი და-  
 იპყრო. მოსკოვის რადიომ კი მთელს კაცობრიობას აცნობა,  
 რომ საქართველოში აჯანყება მოხდა,—ბოლშევკურიგადა-  
 ტრიალება იყოვო, ამას უმატებდა მრავალ სხვა ტყუილებ-  
 საც, თითქოს ამიერ-კავკასიაში მეზობელი ერები ერთი-მეო-  
 რეს დაერიც და მოსკოვის მთავრობა არაფერ შუაშია.

### გრივისული მთავრობა

უროვნული მთავრობა პრეზიდენტი ნ. ეროვანიას მეთაუ-  
 რობით იხილება უცხოეთში. მას მინდობილი აქვს დამფუძ-  
 ნებელ კრებისგან, გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო ას-  
 პარენტე და ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენათ. \*

უცხოეთში ჩამოსვლისთანავე გადმოხვეწილმა მთავრო-  
 ბამ და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიმართა ევროპის  
 აზრს პროტესტით—უხეში ძალმოშრეობის წინააღმდეგ და  
 განუმარტა მას საქმის ნადვილი ვითარება.

მთავრობამ ჩაატარა მრავალი დიპლომატიური მუშაობა,  
 გადასცა მემორანდუმები, ნოტები, მან მიიღო მაშინდელ მმა-  
 რთველ წრეებიდან დამაკმაყფილებელი პასუხი.

მოსკოვის ხელისუფლება, რომელიც გამოდიოდა და დლე-  
 საც გამოდის მშრომელთა სახელით,—ჩვენმა მთავრობამ და  
 სახელმწიფო მოღვაწეებმა სწორედ ამ მშრომელ ნაწილს მი-  
 მართეს—განესაჯათ და დაეფასებიათ იმპერიალისტური ნა-  
 ბიჯი. იგი ყველგან გაყიცხულ და დაგმობილ იქნა.

### საფრანგეთის ხელისუფლისტერი პარტია და საქართველო.

3 მაისს 1921 წელს პრეზიდენტი ნოე ეროვანია მიწევულ  
 იქნა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ  
 კომიტეტის სხდომაზე, სადაც მან ფართეთ გააშუქა საქართ-  
 ველოს დაპყრობის საკითხი. დოკუმენტებით ხელში დაამ-  
 ტკიცა, რომ ეს იყო ომი საბჭოთა რუსეთის მიერ—საქართვე-  
 ლოს დაპყრობის მიზნით. ნ. ეროვანიას მოხსენების შედეგათ  
 საფრანგეთის სოც. პარტიის ეგნეცუტიკივა გამოუშვა მანიფე-  
 სტი მუშათა კლასის მიმართ, სადაც იგი მოუწოდებდა პრო-  
 ტესტი განეცხადებიათ საქართველოს დემოკრატიული რეს-  
 პუბლიკის დაპყრობის წინააღმდეგ და მოეთხოვათ მისი თა-  
 ვისუფლების აღდგენა.

### ბელგიის მექათა პარტია და საქართველო.

ბელგიის სოციალისტურმა პარტიამ, პროფ. კავშირებმა  
 1921 წ. 13 ივნის, საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ლიდერი  
 და ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნ. ეროვანია მიიწ-  
 ვიეს დიდ მიტინგზე ბრიუსელში, სადაც მას მიესალმა ვანდე-

რცელდე და ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: «ბელგია ვერ მოკლა მტრის დაპყრობამ, იგი დღეს მყვდრეთით აღმდგარია, არც საქართველო მომკვდარა, იგი «ალდებარ»...»

მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლუცია საქართველოს დაპყრობის გამო და მოთხოვნა იქიდან ჯარების გაყვანის.

საქართველო და ინგლისის მუშაობა პარტია.

22 ივნისს 1922 წ. ნოე კორდანის ესწრება ინგლისის მუშაობა პარტიის კონფერენციაზე, სადაც საქართველოს შესახებ მოხსენებით გამოდის ქ. ნი სნოუდენი. კონგრესს ერთხმად გამოაქვს რეზოლუცია, უცხადებს ქართველ ერს თანაგრძნობას და უყვენებს მოთხოვნილებას მოსკოვს მოხდეს რეფერენდუმი—რათა ქართველ ხალხს მიეცეს საშუალება გაშოსტევას თავისი ნებისყოფა.

საქართველო და გერმანიის სიც.-დემოკრატია.

5 ივნისს 1921 წ. გერმანიის სოც.-დემ. პარტიისგან მოწყობილ იქნა მრაველ-რიცხვოვანი მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოდიან საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე კარლო ჩეხიძე და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. გამოტანილ იქნა რეზოლუცია—საქართველოდან რუსის ჯარების გაყვანის შესახებ.

ო ტალ ი ა...

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭიორი და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე სიმ. მდივანი მიწვეულ იქნენ იტალიაში. მათ ჩასვლამ გამოიწვია —პარლამენტში ცხარე კაშათი საქართველოს დაპყრობის გამო.

... კიდევ სატრანშეტში.

30 ოქტომბერს 1921 წელს, საფრანგეთის სოციალისტურ კონგრესს ეწვია—საქართველოს წარმომადგენელი სოც. ინტერნაციონალში ირ. წერეთელი, რომელმაც კრებას დაწვრილებით განუმარტა, თუ როგორ ბოლშევიკებმა უქს-ქვეშ გათელეს პრინციპით ერთა თვითგამორკვევისა და როგორ მოსკოვის ჯარის ხიშტების და საშინელი ტერორის საშუალებით ბატონობს საქართველოში ხელისუფლება, წინააღმდეგ მთელი ქართველი ხალხის სურვილისა.

მათი აღსარება.

სამ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელთა კონფერენციაზე მოსკოვის წარმომადგენელმა —ცნობილ კომუნისტ რადეკმა განაცხადა, რომ მათ დაიპყრეს საქართველო, რადგან ნავთი ესაჭიროებოდათ, რაზედაც საქართველოს წარმომადგენელმა ირ. წერეთელმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

“რადეკის სიტყვაში ბოლშევიკებმა პირველად აღიარეს საჯაროთ, რომ მათ დაარღვევს საზაო ხელშეკრულება საქართველოსთან და ამ ქვეყანას ომის საშუალებით დაეპატრონენ. ამ ოქუპაციის საბუთად მათ მოიყანეს ის გარემოება, რომ რუსეთს ნავთის წყაროების მიდამოების უზრუნველყოფა ესაჭიროებოდათ. იმისთვის, რომ ამა თუ იმ ქვეყანამ დაიკავოფილს თავისი მოთხოვნილება მეორე ქვეყნის ნაწარმოებით ან საწარმოო წყაროებით არსებობს ორი გზა: ერთი იმპერიალისტური, რომელიც გამოიხატება სამხედრო ძალის ხმარებაში და მეორე დემოკრატიული, რომელიც ცდილობს დასახულ მიზანს მიაღწიოს შეთანხმებით საერთო ინტერესების ნიადაგზე. მე აღნიშნავ რომ ბოლშევიკებმა, როგორც ეს მათ თვით განაცხადეს, აირჩიეს პირველი—იმპერიალისტური გზა და თავისი კეონომიური მიზნების განსახორციელებლად ძალით დაიპყრეს ქვეყანა. ამასთანავე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ საქართველოს მთავრობა მუდამ მზათ იყო და როდესაც ის ალსდგება მუდამ მზათ იქნება სრული ანგარიში გაუწიოს რუსეთის ეკონომიურ საჭიროებებს და რუსეთის მთავრობასთან დასდგას ყოველგვარი ხელშეკრულება, რომლებიც საჭირო იქნება რუსეთის ეკონომიურ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად...”

ეს ფაქტი ძლიერ კარგად იცოდა და იცის საბჭოთა მთავრობამ და ამგვარათ საქართველოს ოქუპაციას, რომელიც მოხდენილ იქნა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მიუხედავათ.—გასამართლებელი საბუთის უკანასკნელი ნატამალიც კი იკარგება»...

საქართველოს წარმომადგენლის განცხადებას სრულიად ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1920 წელს 14 ნოემბერს ეკონომიურ შეთანხმების ძალით საქართველოს მთავრობამ უფლება მიანიჭა მოსკოვს ესარგებლა ნავთსადენით და ნავთის რეზერვუარებით და ამ მხრივ უზრუნველყო ბაქოს ნავთის გატანა საქართველოს ტერიტორიაზე გავლით. მაგრამ მოსკოვი ამას არ დაკავოფილდა და გადასწყვიტა ნავთსადენის განუყოფელი ბატონ-პატრონი გამხდარიყო და ხელში ჩაეგდო საქართველოს ყველა სიმღიდოები.

საქართველოს სრულუფლებიანი  
წარმომადგენლობა ხატრანშეტში.

საქართველოს სრულუფლებიანი საელჩო არსებობდა საფრანგეთში—დაკურობის შემდეგ 15 წლის განმავლობაში. საქართველოს ელჩის აკაკი ჩხერიელის დანოე უორდანიას მეთაურობით, ეროვნულ მთავრობის და სხვადასხვა პარტიულ წარმომადგენლობათა—დიპლომატიური მუშაობა იყო უდიდესათ ნაყოფიერი და მომავალშიც მათ მიერ გაშეული შრომა—წინ წარუძლება ერის განმათავისუფლებელ მოძრაობას..

## సాకుతులు సాంగ్రహిత్వమయి.

సాకుతులులో డాప్యార్డిస్ 40 టీలిస్ తాజు—సాఫరాన్‌గ్రేత్‌శిం మ్యాట్ జారుతుల్లో సాంగ్రహిత్వమయి భర్తాగాల రిప్రోవ్‌గాన్‌మా సాంగ్రహిత్వమయి క్రేడామ ఏర్తస్థుల్లోనాట ఉపాస్యబా. క్రేణి టీచర్‌మాంగ్రేన్‌లిస్ మంఫొర్డ్‌బా అథ మెర్కిప్ శ్యేస్‌మెన్‌లిల్ డా గాగ్రేబ్‌శ్ల ఐంబా—రోగమర్క్ జారుతుల్లో మిల్‌గొక్‌మార్డిస్. క్రేణి కాన్‌ఫిల్‌దార్‌లిస్ అథ. శాల్‌గా అధిశ్లేస్‌లిస్ 10 టీలిస్ ఉంగ్‌గార్మ మంగ్‌ప్రాఫ్‌మార్డా డా మిస్‌గా—తాజుస్ కాన్‌ఫిల్‌దార్‌లిస్ మోబ్‌స్‌న్ లింగ్‌స్థుల్లాఫ డా శ్యేసాఫ్‌య్‌రిస్‌సాఫ ఎంసిస్‌నా మట్‌ల్‌మా క్రేడామ. రాథాప్ గాబాదా శ్యేసాఫ్‌య్‌రిస్‌సాఫ ఎంసిస్‌నేబిం శ్యేటాన్‌బెంబిత డా ఎర్తమార్డిప్ క్రేబ్‌శ్లోప్. డా కారుతుల్లి క్రేరిస్ మంగ్‌గాల్‌శ్లురీ ఎర్తమార్డా గామర్క్‌ప్రాఫ్‌బ్శ్లోప్.

సాంగ్రహిత్వమయి తాజ్‌మిశ్రమార్డాత అంబ్‌శ్ల ఐంబా డి-మి ల్యోగాన్ శ్లురూబిశ్లోల్, మిస్ మొంగ్‌ఫిల్‌ప్ డి-మి ల్యోగాన్ ట్యాల్‌గా.

శ్యేమిఫ్ అంబ్‌శ్ల ఐంబా గామగ్‌మార్డా డా సాంగ్‌యోసిం క్రమిసిం.

శ్లుస్‌ర్యుప్ బెంబిత మట్‌ల్ శ్యేమాఫ్‌య్‌రిస్‌మార్డాస్, — ఎర్తస్‌థుల్‌మార్డాత డా తాన్‌బెంబిత—జారుతుల్లి సాంగ్‌గాఫ్‌య్‌రిస్ సాంగ్‌బెంబిత.

## స మ చ మ

అమా టీలిస్ 29 నాంగార్లస శ్యేసిగ్‌గా జారుతులు సాంగ్రహిత్వమయి టీలిశ్లురీ క్రేడామ క్రేడాస తాజ్‌మిశ్రమార్డార్‌మార్డా ఒల్. శాల్‌శ్లేవ్‌స్, మంగ్‌మిశ్రమార్డా గర్ క్యార్‌ప్రెస్.

క్రేడాస ఒస్‌మెన్‌స గామగ్‌మార్డిస్ డా సాంగ్‌యోసిం క్రమిసిం అంగార్‌మిస డా ఎర్తమార్డా అంబ్‌ప్రాఫ్‌బిస్ మాస్.

అమిస్ శ్యేమిఫ్ ఒస్‌మెన్‌స సాకుతుల్లి అంగార్‌మార్డిస్ డా గామగ్‌మార్డిస్ అంబ్‌శ్లేవ్‌స్ బెంబిత శ్యేసాబ్‌గ.

క్రేడామ ఏర్తమార్డా సింథోస్ డి-మి ఎల్. శాతిరీమిశ్లోల్ కిట్‌ప్ రాంక్‌శ్లే సాంగ్రహిత్వమయి టాజ్‌మిశ్రమార్డిస్ తాన్‌మిశ్రమార్డిస్ తాన్‌మిశ్రమార్డిస్ మాగ్‌రామ మిస్ తింథోన్‌సిస్ డా మంత్రిప్రోవ్‌బిస్ మోస్‌మెన్‌స్ శ్యేమిఫ్ అంతాయో-శ్లుఫ్‌ల్‌ప్రోబిస్ మాస్ డా ఎర్తమార్డా శ్లుస్‌ర్యుప్ మాఫ్‌ల్‌మార్డాస్ శ్లుఫ్‌బిస్,— రాథమిశ్రమార్డిమ్ టీల్‌ప్రోబిస్ మాండిల్‌శ్లే—శ్లుస్‌గార్మ డా డాఖ్లాల్‌మార్డా శ్లుమిశ్రమిస్ గాశ్లేవ్‌సింగ్‌మార్డిస్. మాఫ్‌ల్‌మార్డా గామియ్‌ప్రోబిస్ అంబ్‌ప్రాఫ్‌బిస్.

సాంగ్రహిత్వమయి టాజ్‌మిశ్రమార్డాత టీమిప్ప్యున్‌బ్శ్ల ఐంబా న. శాగ్‌మిస్. అంర్తా గాప్‌ప్రోబిస్—గామియ్‌ప్రోబిస్ టీలిస్ శ్యేమిఫ్ శ్యేమాఫ్‌య్‌రిస్‌మార్డిప్ అంబ్‌ప్రాఫ్‌బిస్: న. శాగ్‌మిస్, స. క్రింగ్‌ప్రోబిస్, గర్ క్యార్‌ప్రెస్. సాంగ్‌యోసిం క్రమిసిం శిస్: ఔ. శ్యేఫ్‌గిన్‌స్, భ. శ్లుఎ-స్ట్రిం డా వ్య. శాల్‌శ్లేవ్‌స్.

శ్లుస్‌ర్యుప్ బెంబిత అంగార్‌మా అంబ్‌ప్రాఫ్‌బిస్ గామియ్‌ప్రోబిస్ నాప్‌మిప్‌ప్రోబిస్ మ్లుశాంబిత. ఔ. డి-మి.

## დიდი სასაჩვებლო სამშე!

რამოდენიმე წელია, რაც ბ-ნი კალე სალიას უშუალო ხელმძღვანელობით და შრომით გამოდის მეცნიერული უზრნალი «ბეჭი ქართლისა», რომელიც მიზნათ ისახავს გაურკვითს უცხო მეცნიერულ წრეებსა და საზოგადოებას ქართული ენის წარსული და აწყობო, გააცნოს ქართველი ერის ისტორია, ხუროთმოძღვრება, ქანდაკება და სამხატვრო ლიტერატურა. უზრნალმა თანდათან მიიღყორ უცხო-მეცნიერთა ყურადღება და დაიწყეს მასში თანამშრომლობა.

უკანასკნელი ნომერი, რომელიც განსაკუთრებული შონაარსის არის, გამოცემულია სხვადასხვა ეროვნების ცნობილ მეცნიერთა სარედაქციო საბჭოს მიერ და საფრანგეთის მეცნიერულ კვლევა-ძეგლის ცენტრის ნივთიერი დახმარებით...

ამ უზრნალის შინაარსის გარკვევა სპეციალისტების საქმეა, ჩვენ მხოლოდ ამ უზრნალის ხელმძღანელს უსურვებთ მისი უზრნალის წარმატებას ქართული კულტურის საკეთილ-დღეოთ.

X.

### «ჩვენი ღრუშა»-ს ვოლდი.

შემოსწირეს:

|                                  |       |         |
|----------------------------------|-------|---------|
| საფრანგეთიდან ქ-ნი ქეთო ვაჩინაძე | 1.000 | ფრანკი. |
| „ ზაქარიაძე ვალია                | 1.000 | „       |
| „ მელქაძე ალ.                    | 1.000 | „       |
| „ ქვარცხავა გრ.                  | 2.000 | „       |
| „ სალუქევაძე ილ.                 | 2.000 | „       |
| „ დუიშვილი დ.                    | 1.000 | „       |
| „ კვერლელიძე დ.                  | 1.000 | „       |
| <hr/>                            |       |         |
| სულ                              | 9.000 | ფრანკი. |

«ჩვენი ღრუშის» გამცენერა შეიძლება შემდგებ შისამართზე

**M - r Berichvili**

16 bis, rue Jules Ferry. Leuville s/orge

(S. et O.) France.

შემოსწირულებაც უნდა გამოიგზავნოს ამავე მისამართზე.